სააპელაციო საჩივარი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

აპელანტი: შენიშვნა-1

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"	204952676	თბილისი. ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული, ბინა 13
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-2

ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-3	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	2292773			greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

აპელანტის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

ნინო გუჯარაძე	01015010047	თბილისი. ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული, ბინა 13
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

		599902520		ngujaraidze@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე: შენიშვნა-5

საქართველოს მთავრობის კანცელარია საქართველოს მთავრობა		თბილისი. ინგოროყვას ქ.№7. თბილისი. ინგოროყვას ქ.№7
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-6

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

999

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი შენიშვნა-9

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-11

სასამართლოს დასახელება:	თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
განმხილველი მოსამართლე:	ინგა კვაჭანტირაძე
საქმის ნომერი:	3/2427-11
მიღების თარიღი:	2012 წლის 04 ივნისი

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:	
სრულად	☒
ნაწილობრივ	☐
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-12

სააპელაციო მოთხოვნა:

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდება სარჩელი სრულად.

შენიშვნა-13

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები

შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი უსწორობა

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.1.2 პუნქტით უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის №25/57 წერილით განმცხადებელს განემარტა მასზედ, რომ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის კანცელარიას მიღებული აქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, რაზედაც ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" ეცნობა 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 წერილით. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენასთან ერთად სასამართლოს აუცილებლად უნდა დაედგინა ფაქტობრივი გარემოება, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის კანცელარიამ 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 წერილით, რაც სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში არ განახორციელა.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის საოქმო სამმართველოს უფროსის 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 წერილით ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს განემარტა, რომ მათ მიერ მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის განკარგულებებისა და მათი მიღების აუცილებლობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის ასლებთან დაკავშირებით შეუძლიათ მიმართონ იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებმაც განახორციელეს აღნიშნული სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება. ამდენად, საქართველოს მთავრობის კანცელარიამ განმცხადებელს მისცა რეკომენდაცია, რჩევა მისთვის საინტერესო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოპოვების ალტერნატიული გზების თაობაზე, რაც ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-მ შეასრულა და რაც არამცდაარამც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის გაცემის (გაცემაზე უარის) შესახებ. სასამართლოს მიერ ამ ფაქტობრივი გარემოების საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გამოკვლევასა და დადგენას საქმეზე აუცილებლად მოჰყვებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.

მტკიცებულება:

ა. იხ. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 წერილი.

2. ფაქტობრივი უსწორობა

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დაადგინა საქმეზე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება, რომ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" 2011 წლის 4 აპრილს საქართველოს მთავრობის კანცელარიისაგან საჯარო ინფორმაციას განსხვავებული საფუძვლით მოითხოვდა, რაც ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს 2011 წლის 4 აპრილის განცხადებით არის დადასტურებული. კერძოდ: საქართველოს მთავრობის კანცელარიის საოქმო სამმართველოს უფროსის ზემოაღნიშნული რჩევების გათვალისწინებით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-მ შესაბამისი უწყებებიდან გამოითხოვა შესაბამისი განკარგულებები და მათი მიღების აუცილებლობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის ასლები. რამოდენიმე უწყებამ სრულად, ნაწილმა არასრულად მიაწოდა მოსარჩელეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. წინამდებარე სარჩელით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოსარჩელესთვის ადმინისტრაციულ ორგანოებს არ მოუწოდებიათ, რის გამოც ასოციაცია „მწვანე

ალტერნატივა“-მ 2011 წლის 4 აპრილს კვლავ მიმართა საქართველოს მთავრობის კანცელარიას და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია, რომლის გადმოცემის ვალდებულება წარმოადგენდა სწორედ საქართველოს მთავრობის კანცელარიის და არა საქართველოს მთავრობის კომპეტენციას.

მტკიცებულება:

ა. იხ. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს 2011 წლის 04 აპრილის განცხადება.

ახალი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-16 შენიშვნა-17 შენიშვნა-18.

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-19

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:	
☐	საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
☐	გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
☒	გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
☒	გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
☐	გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
☐	საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გუსლიხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების ამომწურავად შეფასებას. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების ამომწურავად შეფასების შესახებ და არის სრულიად დაუსაბუთებელი მიგვაჩნია, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია აღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შენიშვნა-20 შენიშვნა-21

1.სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის "ა", "ბ", "გ" და 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

2. სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 249-ე მუხლი, რომლის თანახმად გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია შემოფარგლულია საქართველოს საკანონმდებლო ნორმების აღწერით, ისე რომ მასში ასახული არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული სამართლებრივი შეფასებები, აქედან გამომდინარე, გაუგებარია გადაწყვეტილებაში მითითებული ნორმების აღწერის მიზანი და დანიშნულება. ნორმების გულმოდგინედ გადმოწერა არამცდაარამც არ ნიშნავს ამ ნორმების გამოყენებას, მით უფრო კონკრეტული სადავო შემთხვევის სამართლებრივ შეფასებასა და ანალიზს.

3. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, 105-ე მუხლის მეორე ნაწილი, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მითითებული საპროცესო დარღვევების გამო ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება. სასამართლომ არ შეამოწმა და არ შეაფასა სარჩელსა და ახსნა-განმარტებაში წარმოდგენილი საფუძვლიანი პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ასევე სწორად არ შეაფასა სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლები.

4. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სზაკ-ის 102.1 მუხლი, რომლის თანახმად - განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ამავე კოდექსის 102.2 მუხლი, რომის თანახმად - თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან

ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც უარი ითქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე. განსახილველ შემთხვევაში ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს 2011 წლის 04 აპრილის განცხადება შეიცავდა მითითებას ახალ გარემოებებზე, რაც გახდა საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის ამ განცხადებით მიმართვის საფუძველი. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციულმა ორგანომ ზემოაღნიშნული ნორმის დარღვევით განცხადების განუხილველად გამოსცა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იმ საფუძვლით, რომ უკვე არსებობდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ 2010 წლის 10 სექტემბერს #24/140 წერილით მიღებული გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ, ხოლო სასამართლომ აღნიშნულის გამო საერთოდ არ შეამოწმა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და შესაბამისად ჰქონდა თუ არა ადგილი ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სუბიექტური უფლების რეალიზაციას, რითაც უხეშად დაარღვია სასკ-ის 33-ე მუხლის მოთხოვნები.

5. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა - სზაკ-ის 182-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა: 1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის უარი (გადაწყვეტილება) მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, 2. დაევალოს საქართველოს მთავრობის კანცელარიას მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა. ამ საკითხზე ანუ საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე არ არსებობს არც ამ ორგანოს, მით უფრო ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილება. ამდენად, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის, იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 10 ივნისის #25/57 წერილი უკანონოა და სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის თანახმად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. საგულისხმოა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველად მითითებულია სზაკ-ის 182-ე მუხლის "ბ" პუნქტი, რომელიც სასამართლოს მიერ იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული საჩივარზე გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო წარმოებაში საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ არსებობდა უარყოფილი იქნა.

°°°°°

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შენიშვნა-23

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა
არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა
არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?			
დიახ	☐	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	☒		

საჩივრის ფასი	—	არაქონებრივი ლარი
სახელმწიფო ბაჟი	—	150 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე: ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა", ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01.

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?		დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?		
მტკიცებულება:		
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.		

შენიშვნა-30

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;

» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;

» სასამართლო ხარჯები;

» სასამართლოსგარეშე ხარჯები;

» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?		
დიახ	☒	მორიგების პირობები: წარმოვადგენთ სასამართლო სხდომაზე.
არა	☐	რადგან

შენიშვნა-31

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☒	რადგან განსახილველი საქმე მნიშვნელოვანია მხარისათვის

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?	
20 წუთზე მეტი რადგან ეს დრო არის საკმარისი ჩვენი პოზიციის დასაბუთებისათვის.	
რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?	
I სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დავის განხილვა გონივრულია.	

შენიშვნა-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-35

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-36 შენიშვნა-37

დანართი 1: სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი 1 (ერთი) ფურცელი	
ფურცლების საერთო რაოდენობა:	1

სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	**არა**
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☒	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	☒	☐
7.	მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.		
12.	სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს გამგეობის თავმჯდომარე, მანანა ქოჩლაძე	29/06/2012 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-38